№ 19—1917 | ფასი | წელიწადი მეხუთე
კვირა მაისი 7 | 15 კ. | გამოცემისა



ლადო დარჩიაშვილი

გარდაცვალებიდან წლის თავის შესრულების გამო.

ყ ი ვ ი ლ ი

1.

ჰაუ!—სადა ხარ, სად ბანაკობ,
ჩემო ლაშქარო,
ველად გაქრილი შენ გიყივის
შენი მხედარი!
რად არ იღვიძებ, ერო ჩემო,
ერო მძინარო,
რით ვერ გაფხიზლებს მტერთა შენთა
რისხვა და ზარი!

2.

წარმიძეხ წინა ატეხილო
გრიგალო, ქარო!
თან წარიტაცე სული ჩემი
დაუდეგარი!
დაიქიხვინე არაბულო,
სწორუპოვარო!
ჰერი! გაჰკურცხლე!
გადაჰქუსლე უდაბნო მკვდარი!

[signature]

რედ. „ხალხის თავისუფლება“ და **„თეატრი და ცხოვრება“** ამით აცნობებენ ამხანაგთა და თანამგრძნობელთ, რომ დაუვიწყარ ამხანაგის, ნიჭიერი პუბლიცისტის

ლადო დარჩიაშვილის

გარდაცვალების წლისთავის შესრულების გამო დღეს, კვირას, **მაისის 7** ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა (დაიწყება 10 ს.) და პანაშვიდი (დაიწყება 12 ს.)

კვირას 7 მაისს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

ლადო დარჩიაშვილის

მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დამწუხარებულნი მისი დედა, ცოლი, ძმები, რძლები ძმისა და დისწულები.

პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე.

მაისის 7

ქართველი მსახიობი

ძლივს ქართველმა მსახიობმა ნაბიჯი გადადგა.

მაისის პირველ რიცხვებში შესდგა სრულიად საქართველოს მსახიობთა ყრილობა, რომელმაც ს განგებო წესდება შეიმუშავა და კავშირი შექმნა.

დღემდის სხვის ხელშემაყურებელი, ზოგჯერ თუ ხელისხელ საგოგმანები, ხშირად ფეხქვეშ გაქეილი და ნამდვილი პროლეტარი ჩვენი სამშობლო სცენის ქურუმი საკუთარ ფეხზე დადგა.

მაგრამ ახლად შემდგარი კავშირიც თუ მხოლოდ, ჩვენებურად-ძველებურად, წესდების შედგენით დაკმაყოფილდა—ვერაფერი სამსახური იქნება.

ქართველ მსახიობს ძლიერ დიდი პასუხსაგები მოვალეობა აწევს სამშობლოს წინაშე.

ვიდრე ჩვენი სამშობლო ჯერ კიდევ უცხოთა გავლენას განიცდის, ჩვენი ესთეტიურ-ეროვნული აღზრდა, ჩვენი ენის დაცვა-გაფაქიზება, გრძნობათა გაკეთილშობილება, ჩვენი ნამდვილ მოქალაქეებად აღზრდა—ქართული სცენის ხელთაა...

აქედან იგულისხმება თვით ქართველი მსახიობი რამდენად მომზადებული უნდა იყოს, აღზრდილი, განვითარებული, მუდამ ფხიზელი და წინ წინ მსვლელი, რომ საზოგადოებას ლამპრად ექმნეს...

ეს საზოგადოდ. კერძოდ ჩვენი პროვინცია—დაბა-სოფელი სათეატრო ხელოვნების მხრით რომ ჩამორჩენილია და იქ მუდამ იაფფასის „თრეათი“ ბატონობს,—ამასაც ყურადღება უნდა მიექცეს...

ქართველი მსახიობის თვითმოქმედებას დღეიდან ეხსნება გზა და ახლო მომავალი დაგვანახვებს – ჩვენი მსახიობი ცხოვრებას ჩამორჩება თუ, წინ თუ არა—გვერდზე მაინც გაჰყვება!..

გაუმარჯოს ქართველ მსახიობთა თვითმოქმედებასა და საკუთარი ფხის გამოჩენას!..

იოსებ იმედაშვილი

ომი და ზავი!

ვინ დაიწყო ომი?

ორნაირი პასუხი ამ კითხვაზე შეუძლებელია. მთავრობამ და იმპერიალისტებმა დაიწყეს ომი და მთელს ევროპას სისხლის ნიაღვრები დაატეხეს თავს.

თვითონ ხალხი, დემოკრატია წინააღმდეგი იყო და არის სისხლის ღვრისა. სადაო საერთაშორისო კითხვების გადაწყვეტა სისხლის ღვრითა და თოფ-ზარბაზნებით დემოკრატიას არა სწამს, მაგრამ ის იძულებული იყო დამორჩილებოდა ფიზიკურ ძალას. რადგანაც ძალა მთავრობისა და იმპერიალისტების ხელში იყო და არის ყველგან ევროპაში, ამიტომ ხალხი, დემოკრატია ძალაუნებურათ ჩაება ომში და აგერ სამი წელიწადი შესრულდება, რაც უდანაშაულოთა სისხლით ევროპა ირწყვება

ვისთვის არის ეს ომი ხელსაყრელი? ევროპის მსხვილი ბურჟუაზიისათვის. საფრანგეთისა და ინგლისის ბურჟუაზიას უნდა გერმანიის ბურჟუაზიის გასრესა, გერმანიის ბურჟუაზიას უნდა საფრანგეთის და ინგლისის ბურჟუაზიის მიწასთან გასწორება და ახალი ბაზრების მოპოება:

რუსეთის ბურჟუაზიას უნდა კონსტანტინეპოლისა და მისი სრუტეების დაპყრობით ბაზრის გაფართოება და გაძრიელება. თვითონ ომის დროს, სისხლის ღვრის პროცესში მეომარი სახელმწიფოების ბურჟუაზია ძალზე მდიდრდება. ამიტომ მას სრულებითაც არ უნდა ომის გათავება.

თუ ხალხი მოკრძალებით აიტანს ყოველისფერს, თუნდ ათ წელსაც გაგრძელდეს ომი,—ბურჟუაზია რას წააგებს!

თუ მისი საქონელი კარგა ვერ გავა, სხვა სახელმწიფოში, სამაგიეროდ შინ საღდება ერთი ათათ.

პირველის წარმოდგენით და შეხედვით ომის დროს თითქოს მარტო ბურჟუაზია კი არა მდიდრდება, თვითონ დემოკრატიაც ქონებრივათ უკეთეს მდგომარეობას იძენს.

აი ჩვეულებრივი მაგალითები.

გლეხი რომ წინეთ სამ აბაზათ ჰყიდდა ქათამს ახლა ჰყიდის ორ მანათად და ათ შაურათ. კვერცხსა ჰყიდდა ორ კაპეიკათ, ახლა ჰყიდის რვად.

ერთის სიტყვით გლეხის ნაწარმოებმა ფასი მოიმატა.

იგივე ითქმის ქალაქის მუშაზე. თუ ის თავის სამუშაო ძალ ღონეს დღეში ჰყიდდა მაგალითად ორ მანათათ, ახლა ჰყიდის სამ და ოთხ მანათათ.

საქმე იმაშია, რომ თუ გლეხი თავის საქონელში და მუშა თავის შრომაში დღეს მეტს იღებენ, ვიდრე მშვიდობიანობის დროს, ამავე დროს გაცილებით მეტს ხარჯავენ. დღეს თვისი ყოველდღიური აუცილებელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, ვიდრე მშვიდობიანობის დროს ხარჯავდნენ.

წინეთ გლეხი ჩუსტებში აძლევდა ექვს აბაზს. ისე რომ ორ ქათამში აღებული ფულით ჩუსტებსაც იყიდდა, სხვა რამესაც.

დღეს კი მარტო ჩუსტები უჯდება რვა ცხრა მანთი და ოთხი ქათამი უნდა გაჰყიდოს, რომ ჩუსტების ყიდვა მოახერხოს, ახლა აიღეთ პირკალი, ჩითი, ნავთი, პური, სიმინდი ყოველივე, რაც გლეხისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

იგივე ითქმის ქალაქის მუშაზედაც.

იმის ხელფასს ერთი ორათ არ უმატნია. იმ საქონელმა კი, რომელიც იმის ყოველდღიურ საჭიროებას შეადგენს, ერთი ხუთათ, და მეტათ იმატა.

ასე რომ რამდენიც უნდა აიღოს გლეხმა და მუშამ თავის საქონელში, ვაჭარი გაცილებით მეტს იღებს.

ამიტომ ბოლოს და ბოლოს მოგებული ისევ ბურჟუაზია რჩება.

ამიტომ ყვირის ის ყველგან: ყოველივე ომს უნდა შევწიროთ, ყოველივე ომს უნდა ვანაცვალოთო.

რატომაც არა!

დემოკრატია სისხლსა ღვრის, სიცოცხლეს ესალმება, ლატაკდება, მშიერი და შიშველი რჩება, ბურჟუაზია კი დღით-დღე მდიდრდება და მდიდრდება!

მაშ გაუმარჯოს სამშობლოს, ყოველივე ომისათვის!

როცა შენი არა იხარჯებარა ქეიფს რა ჯობია,

დღე, დემოკრატიამ სისხლი ჰღვაროს ბურ ჟუაზიას რა ენაღვლება, თუ კი იმის ქონებას დაკლების ნაცვლათ საკმაოთ მოემატება?

რუსეთი რევოლიუციამ გარემოება ძირიანათ შესცვალა.

ძალა-უფლება დემოკრატიის ხელში გადავიდა და მან მაშინათვე გამოაცხადა: კმარა სისხლის ღვრა, შევრიგდეთ და ხარკსა და სხვის მიწაწყლის მითვისებაზე ხელი ავიღოთო:

რუსეთის ბურჟუაზიამ სცადა წინააღმდეგობა. ეს გამოიხატა მილიუკოვის ცნობილ ნოტაში, სადაც დროებითი მთავრობა კონტრიბუციის (ხარკის) და ანექსიის (სხვისი ადგილების დაპყრობის) მომხრეთ გამოდის.

ამგვარათ რუსეთის დემოკრატია გერმანიის, ავსტრიის, საფრანგეთისა და ინგლისის დემოკრატიას ურჩევს: რა გვაქვს საჩხუბარი, შევრიგდეთო.

რუსეთის ბურჟუაზია კი საფრანგეთისა და ინგლისის ბურჟუაზიას ეტყობინებს: უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ არც თქვენ გინდათ ზავი არც ჩვენ გვინდაო.

ვისთვის არის კონტრიბუცია და ანექსია საჭირო?

დემოკრატიისათვის?

არა.

კონტრიბუცია ხალხის გაყვლეფაა.

სხვისი გაყვლეფა და სხვისი ადგილების დასაკუთრება დემოკრატიის სატრფიალო არასოდეს არა ჰყოფილა და არც იქნება.

კონტრიბუცია უნდა ბურჟუაზიულ მთავრობას, ანექსია ბურჟუაზიას.

ომი ითხოვს დიდ ხარჯებს. ხარჯების შესამცირებლათ, გასასტუმრებლათ მთავრობა ეტრფის კონტრიბუციას.

ბურჟუაზიას უნდა ახალი ბაზარი და ამიტომ იცავს ის ანექსიას.

მეტყვიან, ომი იწვევს საშინელ დავალიანებას, ეს ვალი მთელ ხალხს აწვება კისერზე. ამიტომ კონტრიბუციას ხალხის ინტერესი ითხოვსო.

შემცდარი შეხედულებაა.

ომი იწვევს, მართალია, დავალიანებას; ვალს გასტუმრება უნდა.

ამისათვის საჭიროა ზედ-მეტი ფული.

ზედმეტი ფულისათვის-კი საჭიროა კონტრიბუცია კი არა, არამედ ზედმეტი გადასახადი

ვინ უნდა იკისროს ან ვის უნდა დაეკისროს ეს ზედმეტი გადასახადი!

დემოკრატიას?

არა.

დემოკრატიას არაფერი აქვს — ეს პირველი.

დემოკრატიას ომი არ დაუწყია — ეს მეორე.

დემოკრატიამ თუ წააგო, თორემ ომით არა შეუ ენიარა — ეს მესამე.

ზედმეტი გადასახადი უნდა დაევალოს ბურჟუაზიას.

პირველი იმიტომ რომ იმან დაიწყო ომი, ან ხელი შეუწყო მას.

მეორე იმიტომ რომ ის შეძლებული კლასია და სხვისი ოფლით გამდიდრებული.

მესამე იმიტომ რომ ამ ომით ბურჟუაზიამ დიდძალი სიმდიდრე შეიძინა.

ბურჟუაზიულ მთავრობას არ უნდა, ბურჟუაზიის ჯიბეს ხელი შეახოს და ის ითხოვს კონტრიბუციას ესე იგი დამარცხებული ერის გაცარცვას.

მილიუკოვის ნოტა მარტო რუსეთის ბურჟუაზიის ინტერესისთვის არ იყო გამოწვეული, ის ნაკარნახევი იყო საფრანგეთის და ინგლისის იმპერიალისტების მთავრობისაგან.

ეტყვს გარეშეა, საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალისტები რუსეთის დემოკრატიას აშინებენ: თუ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს თავი არ დაანებე, ყოველ გვარ კავშირს შევწყვიტავ თქვენთან და იაპონელს მოგისევთო.

საქმე ახლა იმაშია, რას იტყვის და რა გზას დაადგება საფრანგეთის, ინგლისისა და გერმანიის დემოკრატია.

თუ ისინი რუსეთის დემოკრატიას მიემხრენ და საკუთარი მთავრობა აიძულეს: უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი მიიღოს, ომი მალე გათავდება და სისხლის ღვრას ბოლო მოეღება.

თუ მებრძოლი სახელმწიფოების დემოკრატიამ რუსეთის დემოკრატიას მხარი არ დაუჭირა და საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ არ ამხედრდა მედგრათ, მაშინ რუსეთის

დემოკრატიის წინ ორი გზა არის: ან ომის გაგრძელება ვინ იცის როდემდის, ან სეპარატიული ზავი.

რუსეთის დროებითმა მთავრობამ რომ ომის გაგრძელება ღირსეულათ შესძლოს, ამისათვის საჭიროა, რომ რუსის ხალხი და ჯარი მას გაჰყვეს.

რუსის ხალხი და ჯარი კი გაჰყვება მტკიცეთ და უშიშრათ, თავ-გამეტებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დროებითი მთავრობა ახლავე გადასჭრის მიწის საკითხს ხალხის სასარგებლოთ.

დროებითი მთავრობის სურვილებსა და ძალღონეს ეს აღემატება, არც შეიძლება ისეთი რთული და მეტათ დიდი საკითხის გადაჭრა უცებ, ერთის დაკვრით.

უმისოთ ომის გაგრძელებას მოჰყვება აუცილებლათ ახალ ახალი დამარცხება, რაც რუსეთის თავისუფლების საფრთხეში ჩააყენებს.

დარჩა სეპარატიული ზავი, რომელიც არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს, თუ წინ და წინვე იაპონეთი იქმნა დაკმაყოფილებული.

მართალია ამგვარი ზავი მოკლებული იქნება რუსეთისათვის ერთგვარ რაინდობას, მაგრამ დამნაშავე იქნება მებრძოლი სახელმწიფოების დემოკრატია.

თუ მან ვერ შეიგნო საერთაშორისო დემოკრატიის ჭეშმარიტი ინტერესი, რუსეთის დემოკრატია ვალდებულია, დაიცვას თვისი ინტერესი, რითაც და როგორც შეუძლია.

ივ. გომართელი.

*
* *

აგვიყვავდა მთა და ბარი,
ტყეს ფოთოლი გაეშალა,—
ყველა უმზერს ტრფობის თვალით,
ტირილის ხმა მაიშალა.
ძმობის დროშა აფრიალდა,
მტარვალთ ხელი მოეშალა,
ჩამოგვშორდა ძველი ჟანგი,
მტრობის ცეცხლ დაიშალა...

ვასო აფციაური

იუბილიარ ვალერიანს!

დღეს ჩვენი ერი დღესასწაულობს დირსი შვილის, უანგარო მუშაკის ქართული სტენის ერთ-ერთ დიდ-ბოძის ვ. გუნიას იუბილეის. ჩვენ ენა გამოსთქვამს და კალამი სწერს იმ ნარ-ეკლიან გზის გზელ-გაკეთების ისტორიას, რომლის დაძლევაც უხდებოდა ჩვენს მსახიობს ქართული თეატრის ბირველ დაწყების დღიდან მოეოდებული ვიდრე დღემდის? ჩვენი თეატრის განვითარების ისტორია, ჩვენდა სუბედუროდ მეტად სავალალო, ეოველი მხრიდან შეზღუდულ და დაბეჩავებულ ბირობებში სდებოდა. ეველასგან დაგმობილი და უკვე დასამარებული ძველი რეჟიმი ეოველ ერთგულ თვით გამორკვევას სასტიკ მუხრუჭებს უჭერდა, თავისუფალ, გასაქანს არ აძლევდა საერთოდ და ჩვენ ქართველებს კი განსაკუთრებით. თავისი უხეში ბოლიტიკით იგი თავის ბოროტ მიზანს მიასწევდა ავად თუ კარგად მეტ-წილად თითქმის ასწევდა.

მოწინავე საზოგადოებას ნათლად ემჩნეოდა გადაგვარების ნიშნები; შკოლა, ოჯახი, დაწესებულებები და მთელი ცხოვრება ისე ხელოვნურად იყო მოწყობილი, რომ ერთგული ნატამალი ადარსად ემჩნეოდა. მეტი წილი ბრწყინვალე საზოგადოებისა სამშობლო ენაზე ზეზოგნება დაბარკს საოკეანოდ იმჩნევდა მათი ესთეტიური გრძნობები მეტ სიამოვნებას ბოგებდა სახაზინო თეატრში „ტრავიატა“, „ბიკოვია დამა“ და მასთან ერთად ფურად ფურად „ბალეტზეი“ დასწრებით, ვიდრე ქართულ თეატრში „დალატი“, „სამშობლო“‘ მსხვერპლი“ და სხვა მრავალ ქართულ ბიესის მოსმენით. ქართულ თეატრს და მის ერთგულ, მრავლის დამომენ მსახიობს დღითი დღე აკლდებოდა თანამგრძნობნი; ქანებრივ სიდარიბესთან ერთად ჩვენი მსახიობნი გაჩიტდიდნენ სულიერ მარტოობასაც მეტ წილად ქართული თეატრის მულმივი მიმენელი იყო მდაბიო კლასი: მუშა, ხელოსანი და მოსწავლე ახალგაზდები; „გალიორკა“ გაჭედილი იყო ხოლმე მსმენელებით, „ლოჟა-ბარტერებში კი“ ცარიელი სკამები საბრალოდ გამოიცქერებოდნენ. ნუ თუ ჩვენ უბრალო მოშაკვდავნი ამ დროს წარმოვიდგენდით იმ მარტოობის განცდას, რომელსაც

გრძნობდა მოთამაშე მსახიობი ნახევრად ცარიელ თეატრში? მაგრამ ასეთ, საზოგადოების მხრივ გულგრილობას შეეჩვია ჩვენი თეატრი; მაღალი და სპეტაკი აზრით შემკობილი ჩვენი მსახიობი სულგრძელად ითმენდა ეოველ გაწბილებას, ის არ და

ნიკოდიზი თავისი მინისტრებით პეტრე-პავლეს კრებისტში გაქარწყდა. გენერალი რევოლიუციავ ეანურატორში. რაც მართალია, მართალია, ისეთი გულგატეხილი ვიყავი დღემდე რუსეთით, რომ ამას წინად, ი. იმედაშვილს „თეატ. და ცხოვრებაში“ დასაბეჭდათ წერილი გაუგზავნე, სადაც რუსეთს რასპუტინის ქვეშად ვაღიარებდი და არავერი არ მრწამდა მისი. თურმე ნუ იტუქვით, მთელი ძველი რუსეთის მართვა-გამგეობა რასპუტინის ..... ეოფილა დამუარებული. რუსეთის ხალხის ბედ იღბალი, ამ გარეგნილი და ბოზი „მუეიკისა“ ხელში ეოფილა ვინ ჩამოთვლის ეგელას, რაც ახლა გამოაშკარავდა რასპუტინის გარშემო. რაც კნიაეინები და კნეინები ეოფილა პეტროგრადში ეგელა რასპუტინის თაეგანისმცემელი ეოფილა. მერე რეიზა არ იკითხავ?! მარა ნუდარ მოქმეგიებთ. სიტეგის და ბეჭვდის თავისუფლება კია მარა, მაინც მეძნელება... ისეგ თქვენ მიხვდით.

რასპუტინის მძორი რომ ამოიდეს მიწიდან და დასწვეს, ეს ახლა გაგებული გექნება! ვენაცვალე რევოლიუციონერებს, იგენმა იციან მაგათი წამალი.

დღეს აქ, განახლებულ პეტრეს ქალაქში „თეატრი და ცხოვრება“ წაგიკითხე, სადაც ივ. გომართელი დემოკრატიას ემუდარება ავტონომია მოითხოვეთ საქართველოსთვისო. ამასაც თუ კიდევ ხვეწნა უნდა და, ჩვენს საქმეს საშველი ადარ ჭქონია და ის არის. რაც ჩვენმა ტურფა საქართველომ მსხვერპლი გაიდო, განა ავტონომიის დირსი არ ვიქნებით?! შეიძლება ზოგიერთი სოც.-დემოკრატები წინააღმდეგი დარჩენ საქართველოს ავტონომიის, მაგრამ ხალხს არ კითხავთ?! ახლა ხომ ხალხი უპეკუნოთაც არჩევს შავს და თეთრს! მე კი ჩემდა თავად მიგმართავ საეკარელ გურიას საქართველოსთვის ავტონომია მოითხოვონ. გურია ეოველთვის მოწინავე კუთხეთ ითვლებოდა საქართველოში და დღეს ხომ მეტი მოწინაობა მართებთ. სოც.-დემოკრატი, სოც.-რევოლიუციონერი, სოც. ფედერალისტი, ნაც.-დემოკრატი და ერთი სიტეგით ეველა დემოკრატი ავტონომიის საკითხში უნდა შეერთდენ, თუ არ უნდათ თავიანთი ქვეეანა და ხალხი ჩამორჩეს სხვა დაჩაგრულ ერებს. მაშ სალამი გურიას და საერთოდ თავისუფალ საქართველოს.

პრ. ასკანელი

ქალთა შესახებ

ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყო—თუნდა ხვადია!..
ზოთა

ძველ მთავრობის ხელში ქალი და კაცი მონობის მძიმე რკინის ულელ ქვეშ ვიყავით ქედ-მოდრეკილნი, ბრმა სახმარ იარაღათ დაკანონებულნი. არავითარი თავაზიანობა, სიბრალული, თანაგრძნობა მტარვალთ გულში არ ჩააღწევდა.

აი, ის ცა მრავალ მხიბლავ ჯადოსნურ ღრუბელ-ვარსკვლავებით რომ აყვავილდება ხოლმე; აი, ეს დედამიწა უთვალავ ფერის სამკაულებით რომ მოკარგულა და აგერ ის ახოვანნი მთანი, ამაყნი და ცათ აღმართულნი, სადაც უზარ ძაზარ სივრცის სიშორით ატყორცნილ ხეების ფოთოლთ სისინ-შრიალი და ფრინველთ საამო გალობი ერთმანეთს ეჯიბრებიან; ეს უუკეკლუცესი, ნარნარი ადამიანთა სალხინოთ შექმნილი ბუნება კაცთა უმრავლესობისთვის შავ ბნელ სუდარით იყო შებურვილი, კუბოში მწოლიარე უსულო სხეულსავით უსარგებლო. თვით ამ ჰაერით, რომლითაც ყოველი ნადირ-ცხოველი, ფრთოსანი, ჭია-ღუა და მცენარე, ხე, ბალახ ბულახი თავისუფლად სუნთქავს, საზრდოობს, კაცთა უმეტესობისთვის აკრძალული იყო, მაგრამ უფრო კი დედაკაცისთვის იყო რთული ცხოვრება, მწვავე და უკულმართად მიმდინარე.

სადაც მონა მამაკაცს შეეძლო ხმა აღემაღლებინა, საზოგადოებრივი საქმის შებრძოლებით აზვირთებული ბოლმა-ვარამი შეემსუბუქებინა, იქ მონა დედაკაცს პირი აკრული ჰქონდა, მანქანათ მოსიარულე უმოქმედო თოჯინასავით გზა-კვალ აბნეული დახეტიალობდა, ციმბირ-კატორღა-სახრჩობელა-ციხე კი მამაკაცთან თანასწორედ ჰქონდა.

საუკუნოებით გულში დაგუბებული ნაღვლის ტბა 1904—1905 წელს ძალუმად შეირყა, იწყო წვეთ-წვეთად დენა და წელს მიმდინარე 27 თებერვალს ჩაგრულ მამაკაცთა გუგუნს ქალმაც შეუერთა ხმა და მკერდ-გაპობილ გულთან ერთად ნაღველიც მთლად დაინთხა.

მაგრამ მონობისგან განთავისუფლებულ მამაკაცს ჰსურს ქალის პიროვნება ისევ ძველ დესპოტიურ ბრჭყალებში იყოლიოს, რომლის მაგალითიც უკვე მოხდა სოფ. ახალქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის არჩევნების დროს. შეგნებულმა მუშებმა, ჯარისკაცია და ქალებმა მოითხოვეს კაცებთან ერთად ქალიც ყოფილიყო ამორჩეული, და გაჰყვანდათ კიდეც, რომ ვიღაც მოსულ პროვაკატორების ჩაგონებით ქალის ამორჩევა მამაკაცის დამცირებად არ ჩაეთვალნათ, რომ გლეხებს აურ-ზაური და ღრიალი არ შეექმნათ:

— ქალს უფლებას არ მივცემთ.

— თავისუფლება ჩვენთვის მოგვიპოებია და ქალს ვერ გაუყოფთ.

— ჩემ ცოლს თავისუფლება რომ მივცე —თავზე გადამახტება.

— ქალი მოსამართლედ რომ გვეყოლება, ცოლების დატუქსვის ნებას აღარ მოგვცემს.

— ქალისთვის საჭირო არ არის თავისუფლება: ჩვენც კარგად გავაკეთებთ საქმესო და სხ.

იცოდნენ ბნელეთის ცრუ-დემოკრატებმა: ქალი დღეს იმდენად არის პოლიტიკურ-სოციალურ ძლევა-მოსილ ნიადაგზე მომზადებული, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ასტეხს და უფლებას დაიმკვიდრებს.

გაუმარჯოს, ქალთა უფლებას!

გაუმარჯოს მოქალაქობრივ ძმობა-ერთობა-თავისუფლებას.

ანეტა კაპანაძისა

სერგო ალექსანდრ. პაიჭაძე

პოდპორუჩიკი 220 სკოპინსკის პოლკ სა 55 დივიზიისა. დაიკარგა უკვალოდ 1916 წ. მარიამობის თვის 12 გერმანიის საზღვარზე, 23 წლისა

ან. ჯაყელი

8 წ. რაც პროვინციის სცენაზეა

მსახიობნი

ზ. ურუშაძე

სამხ. სამსახურში გაწვეული

გუშინდელნი

კომედია 3 მოქმედებათ შალვა დადიანისა

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 18)

მოქმედება მეორე.

იგივე სანახაობა. მხოლოდ ეხლა ვანზე ბლომათ არიან მოსულები, გლეხები, თავადები და სტრაყნიკები. ყველა ფეხზე დგას და ჩამომწკრივებულები არიან.

ა

ხსენებულთ გარდა სცენაზე არიან: **მამასახლისი მალხაზ, თ-დი კოწია, ჯიბო, პაპუნა, კარლო, ყაყუტაძე, „ფოფოდია", კოწიას კნეინა.** ესენი სხედან ზოგი მაგიდასთან, ზოგი იქით-აქეთ ტახტებზე.

კოწია. (მალხაზს) რა დაგემართა, შეგლახა, შენ... აქამდი სად დეიკარგე?

მალხაზ. პირდაპირ მოვკალი, ყმაწყვილო ცხენი. როგორც კი გავიგე, რომ აქეთ წამოსულიყო, სულ ჭენებ-ჭენებით წამოვედი.

ჯიბო. ჰო, კარგი ახლა, კარგი. აჰა, ასე არა? ძმებო! ისევლე მამასახლისმა უთხრას სოფლის მაგიერ სიტყვა...

გლეხები. კი, ბატონო, კი, მამასახლისმა,

მალხაზ. (წამოდგება) რო არ დეიჯერებთ კაცისას!.. ყმაწვილებო, მე მამასახლისი ვარ, ხელ-ქვეითი ვარ, გეიგონეთ ეე!,.

ბ.

კოწია მარილა, კაცო, რას ჩააცივდით ამ კაცს...

მალხაზ. ერთი რომ დამიფაფხურეს მიწა უნდა გამისკდეს...

ჯიბო. მე გითხარით და არ დამიჯერეთ... სხვა ევირჩიოთ—მეთქი... რავაა, გაწყდა ჩვენში კაცი თუ?

კოწია. მე რომ მკითხოთ, სულ მეტია ახლა დეპუტატების არჩევა და სიტყვის მოხსენება... ეგ როგორც მევიდა, მაშინვე უნდა ყოფილიყო, თვარა, ახლა აგერ საცაა სადილი უნდა ვაჭამოთ კაცს, უნდა წევიქეიფოთ, რა დროს რეჩებია?

ჯიბო. რავა გეტყობა, რომ კნიაზი ხარ!.. შენ ჩემო ბიძია, ფეხებზე გკიდია ჩვენი სოფლის გაჭირვება...

კოწია. თავს ნუ იგდებ, ყაძახო!

ჯიბო. შენი ყაძახი, მადლობა ლმერთს, დიდი ხანია ალარ ვარ... იქ მეიკითხე მთებში, კინკიხოზე, რაცხა ქვების საბოჭავათ რომ დაფხოკიალობ...

კოწია. გაგლახავ, მამა ჩემი არ წამიწყდება!

ჯიბო. (გამოიჭიმება) ვის გალახავ, ვის?. ღმერთი არ გაგიწყრეს, ფეხი არ გადმოდგა, თვარა ისე წამოგაქციო, რავარც წიფელა...

კოწია. (წაიწევს) ვის უბედავ, ბიჭო შენ.—

მალხაზ. ჰო კარგია ახლა. . რა დროს ჩხუბია...

კოწიას კნეინა. კოწია, შენი ჭირიმე, რავა გეკადრება!

„ფოფოდია". კნიაზო, დაეთხოვე.—

პაპუნა. (ჯიბოს) რა დროს ჩხუბია, კაცო. სირცხვილია. ცა და ქვეყანა აქ არი... ვეზდი ნაჩალნიკი აქ ბრძანდება...

კოწია (ტოლს) აპა, რავა მიბედავს.

ჯიბო. არ წამეიწიო აქეთ, არ წამეიწიო.

ხმები მეიცა, შე-კაცო.

მალხაზ ჰო კარგი ახლა. აბა არ გინდათ არავინ ამეირჩიოთ?

ჯიბო. მე ჩემი მხრით ისევლე კარლო ყაყუტაძეს ვასახელებ...

კარ. მე გითხარით და გეუბნებით, რომ ამ თქვენ საქმეში ვერ გავერევი. მთავრობის სიკეთე არ მწამს და იმას არც არაფერს ვთხოვ...

მალ. კაცო. ახლა სოციალისტ კაცს გზანით მთავრობასთან?

ჯიბო. (კარდოს) ბიჭო, აბა რაზე ერევი მარაქაში?—გინდა სეირს უყურო?

კარ. (წამოდგება) მე არაფერში არ ვერევი... აქ შემთხვევით მოვხვდი და სიამოვნებითაც დევტოვებ ამ მძიმე ატმოსფერას. (დაიხურავს ქუდს და კადის)

მალ. აბა დაასახელეთ—მეთქი ვინმე.

პაპ. ვილა უნდა დავასახელოთ, კაცო. შენც ერთი ახარხბული ხარ. საცაა ვეზდი ნაჩალიკიც გამობრძანდება, ისევლე შენ უნდა იყო სხვა ვინ იქნება?

ხმები. შენ, შენ, ბატონო მალხაზ, დათანხმდი.

ჯიბო. მამასახლისი აპა რათ გვინდიხარ,

თუ ჩვენ გაჭირვებაზე სიტყვას ვერ დაძრავ. ან რა ამდენი სალაპარაკო გაქ? ეკლესია დანგრეულია, სასწავლებელი დაკეტილი, გზები არ გვივარგა, ბალი გაველანებულია, ბოგირი ჩაქცეული და სხვა.

მალ. (შეგვიანებით) აბა იცით, ძმებო, რა გითხრათ? ეკლესიაზე და სასწავლებელზე ვერაფერს ვერ ვეტყვი. ეკლესია... ეკ სასულიერო მთავრობას შეეხება და მაზრის უფროსს რა ესაქმება. რაც შეეხება სასწავლებელს. როგორც გევიგე, ცუდათაა ძაან მისი საქმე .. ამ ჩვენ ჩხუბს და კირწი-კორწში მთავრობას გადაუწყვეტია, რომ გაღმა სოფელში გადაიტანოს.. (სიდუმდროთ) მგონია ცოტა ქრთამიც კი გაულია გაღმა სოფელს და... ახლა ჩვენგან უხერხულია ამაზე ლაპარაკი.

ჯიბო. რას ამბობ კაცო.—ეგ რა გვითხარი.—სად იყავი, კაცო, აქამდი?

ხმები. აბა დავღუპულვართ და ის არი.

მალ. მხოლოდ გზებზე და ბალზე რა უნდა უთხრა? ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული? თუ გვინდა გავაკეთოთ, თუ არა და მაზრის უფროსი კი არ გაგიკეთებს.

ჯიბო. იმე! აბა რაზე მოვედით აქ? ამ სოფელმა ტყუილა ამოგვირჩია ამდენი კაცი, რამე ხეირიანი გამოგვიწყვეთო?

მალ. ასეა, ბიძია და.—მე ხომ არ შემიძლია და არა, მაგრამ არც თქვენ გირჩევთ რაიმე სიტყვა დაძრათ ეკლესიაზე და სასწავლებელზე... და საზოგადოთ სოფლის გაჭირვებაზე ვინ იცის რამე ეწყინოს და შეიძლება საკიმბიროთაც გაგიხდეთ საქმე. (ხაუზა. ყველა ჩუმათ არის)

ჯიბო. (თავისთვის ჩაიდაბარაკებს) აბა, სულ დავღუპულვართ და ის ყოფილა... ეჰ, როცა ჩვენ ნასტავლი მამასახლისი ვირჩიეთ, მაშინ დეგვეფსო თვალები.

ბ

ქილორდავა (შემოგვარდება) ჩუმად! ნაჩალიკი მობძანდება!

ყველანი (ჩუმწკრივდებიან, ყველაზე წინ მამასახლისი და საჩქაროთ უბიდან ამოდებულ ძეწკვს გადაიკიდებს)

ბ

მაზრის უფროსი, პრისტავი ჩალიანი, კნ. ჩიტუნია, ფაცია, ადიკო, აგრაფენა.

მალ. (მაზრის უფროსის წინ გამოიწვიმება) თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ! ჩვენი სოფელი ჩემის პირით გილოცავს აქ მშვიდობით მობძანებას და ბოდიშს იხდის, თუ ისე ვერ დაგხვდება, როგორც შეგფერის, მხოლოდ გულწრფელად მოგახსენებს ძველის სლავიანურის ენით: владыко, гряди и володѣй нами.

მაზ. უფ. Спасибо, братъ. გადაეცით სოფელს ჩემი გულწრფელი მადლობა და უთხარით, რომ ამ ჟამად მე საქმისთვის არ ჩამოვსულვარ... ეს—благодаря любезной княгинѣ Читунья совешрили partie plesir (პარტი პლეზირ). სასიამოვნო მოგზაურობა გავმართეთ... მაგრამ აი, სხვა დროს ჩამოვალ და მაშინ კი თქვენ საჭიროებასაც გავეცნობი...

ხმები. იცოცხლეთ, ბატონო, იცოცხლეთ!

„ფოფ.“ (გაწითლებული წინ წამოიწევს) ბატონო ნაჩალნიკო. (ყველას გაუკვირდება მისი გამოსვლა, ზოგს გაეცინება, თავს იკავებს)

მაზ. უფ Что прикажите, любезная?

„ფოფ.“ ჩემი ქმარი აქაური მღვდელი გახლავთ... აქ არ არის ახლა ის დაღუპული. (იქა-აქ გაისმის: „ფხუუ!“ მაზრის უფროსი იდიმება) მღვდელ-მთავარს იახლა საქმეზე, თორემ აქ რომ იყოს უთუოდ თქვენს წინაშე წარდგებოდა და მოგახსენებდათ, რომ ის ერთი უბრალო ღვთის მოსავი მღვდელია, რომელიც ყოველთვის ლოცვა-ვედრებას აღავლენს ჩვენი ქვეყნის უფროსებზე...

მაზ. უფ. Очень радъ, очень радъ. (მიდის ხელზე აკოცებს და ისევ თავის ადგილს ბრუნდება).

ადიკო. ბრავო, ბრავო, ფოფოდია.

„ფოფ.“ უი, გაგიწყდა მიწა... კინაღამ გამაცინე.

აგრაფ. მშვენიერათ თქვი შენ არ მოიკვდე...

ფაც. ძალიან თამამად.

კნ. ჩიტუნია. Не правда ли какъ все это мило?

მაზ. უფ. Одинъ восторгъ, княгиня!

კნ. ჩიტ. მაშ ეხლა კი წავიდეთ... ჩვენ, ფაცია... ხომ წამოხვალ?

ფაც. როგორ არა, ეხლავ. ქუდს დავიხურავ და... მართლა, ცხენი ხომ მეყოლება?

კნ. ჩიტ. როგორ არა! სედლო კეკელას გამოართვი.

ფაც. კარგი, კარგი. (გარბის)

მაზ. უფ. (კნ. ჩიტუნიას) სად მიბძანდებით?

კნ. ჩიტ. აქ ერთი გენერალია, ბერდოსანი... ბიძათ მომხვდება... უნდა ვნახო უთუოდ...

ჯიბო. (თავის ჯგუფს) მართლა, ბიჭებო, გენერალი... იმან თუ ნახა ვეზდი ნაჩალიკი, ის კი ეტყვის მართალს.

პაპ. რავა? მამასახლისის სიტყვა არ მოგეწონათ? (ამასობაში მაზრის უფროსი და მისი ჯგუფი ჩუმად საუბრობენ)

დათ. რავა არ მოგვეწონა.

ხმები. მშვენიერი სიტყვა იყო.

მაზ. უფ. (პრისტავს) О чемъ они говорятъ?

პრი·ტავი. Ничего, ваше высоко-благородіе.

მაზ. უფ. მაშ უთხარი ეხლა დაიშალონ...

პრისტავი (ხმა-მაღლა უცხადებს) ნაჩალნიკი გიბრძანებთ: მადლობელი ვარ, ეხლა კი დაიშალენითო,

ხმები, ღმერთმა გვიცოცხლოს ნაჩალნიკის თავი.

(გლეხები, „სტრაჟნიკები“ და სხვა სტუმრები ჩადიან კიბეზე. მათვე გაჰყვება ადიკო, ჯიბო, პაპუნა. „ფოფოდია“ და აგრაფენა კი შინა ოთახში შევლენ. სცენაზე რჩებიან: მაზრის უფროსი, პრისტავი, კნ. ჩიტუნია, თ-დი კოწია, მისი კნეინა და მალხაზი)

დ

ფაც. (შემოდის მორთული) აი მეც მზათა ვარ...

კნ. ჩიტ. (მამასახლისს) შენ კი არ წამოგვყვები, მალხაზ?

მალხაზ (ანიშნებს მაზრის უფროსზე) როგორ დავტოვო, კნეინა, თვარა თქვენთან ყოფნას რა მირჩევნია.

მაზ. უფ. არა ეგ... Ничего... მაგრამ, მართლა. აქ დამიძახეთ სტრაჟნიკს კნიაზ გორგასლანიანს.

მალ. (აივნიდან გადასძახებს) Стражникъ, князь Горгасланіанъ!

მაზ უფრ. (ქალებს) Такой онъ кавалеръ...

ფაც ვინ არი? რომელი გორგასლანია?

კნ. ჩიტუნია. დიდი ვახტანგის შვილის შვილი...

ფაც. ბეჩა, მერე სტრაჟნიკათ წავიდა?

მაზ. უფ. ოო, онъ далеко пойдетъ... მე თუ დავრჩი ამ მაზრაში... დავაწინაურებ...

კნ. ჩიტ. Конечно, უნდა დარჩეთ... ეხლა აღარ გაგიშვებთ... მე გუბერნატორს ვეტყვი... განა არ მოგწონთ თქვენი მაზრა?

მაზ. უფ. Охъ, одинъ восторгъ княгиня...

(გაგრძელება იქნება)

შალვა დადიანი

არარატის მთა

ვუძღვნი პროფესორს ივანე ივანეს ძეს შირაკოგოროვს

... მიდიხარ სპარსეთში და გიხარია უცხო ქვეყნის ნახვა თავის ხალხით საკუთარ მიწა-წყალზე. ჩაჯდები მატარებელში, ალექსანდროპოლიდან რკინის გზით მიიჩქარი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ოჰ, რა კარგია მოგზაურობა. კარგა მანძილი გაიარე, კიდევ მიდიხარ. მიდიხარ და შორს, ძალიან შორს წყნარად მომდინარე არაქსის მარჯვნივ, გადმით, შენ თვალწინ იბადება მშვენიერი სანახაობა — „არარატის მთა“. მისი ყინვის გვირგვინით მოქარგული მწვერვალი უცებ იპყრობს შენს ყურადღებას და თავდავიწყებული უცქერის ამ უცხო სანახაობას. მიდიხარ, უცქერი, ის თანდათან იზრდება, თანდათან ამოდის. მაღლდება. თითქო მზე აღმოსავლეთით ცის კიდურიდან ამომავალი. ბევრი გაიარე, ისევ მიდიხარ. ეხლა საფსებით ჰხედავ არარატის მთას. შენ გგონია ეს ესაა მთლად მიუახლოვდი, კარგა დაუახლოვდი, მაგრამ არა! თვალი გატყუებს: შენ მისგან ისე შორსა ხარ, როგორც პირველად, მის დანახვამდის. მისი ყურებით თვალი მოგექანცა, მაგრამ შენ მაინც არ აშორებ თვალს, მის სანახაობას, იმიტომ რომ არ გწყინდება მისი ყურება, თვილი ვერ მოგიშორებია მის სანახაობისათვის, იმიტომ რომ შენ არ გინდა მის სანახა-

ობას თვალი მოაშორო. შენ უნებლივ მოსწყვეიტე თვალი მის სანახაობას, მაგრამ იგი მაინც შენ თვალწინ არის: სალითაც უნდა მიიხედო, ეგეღგან მისი თეთრი ხაგურდის კალთებია დაფენილი და ამ კალთებში, ვით ოცნების დამშვარი არარათის მთაა ზე ადმართული. შენ იმის ცქერით მიგეთვლიმა, ჩაგეძინა, მაგრამ სიდშიაც ჭხედავ არარათის მთას. გაიდვიძებ, ვაგონის კუპეში ფანჯრის მუქ ფარდას ხელს გადაჭერავ. შენს თვალწინ არარათის მთაა.

ის დიდია. სძეგს მიწაზე, ვით შვიდეუთხიანი ვარსკვლავი. განს შეამძრეგს რამე თუ? მის წინ ადმოსავლეთით პატარა არარათია, ეგ ხომ დიდი არარათის ანრდილია, ფანდი, ვით კუდიანვარსკვლავი.

კარგია არარათის მთა დიდას, მზის ამოსვლისას, როცა ის ქოხორს ოვარცხნის ნისლბურუსს ირეკავს ფერცხლის გვირგვინით მოქარგულ თავზე და შიშვლ დაყდაა თოვლ-ყინვის ფალალებში სამურ ად იქსოვს, იქარგავს მზის ალისფერ უმანკო სხივებს. სოფლებია მაშინ ის: მზის ჩანჩქერი მის ქოხორში ლვივის, ვარვარებს, თვალთ-წარმტაც ფამაზ ფერადებად ენთება, კიანთებს, იხატება.

სასწაულებრივია ის ფამით, მოწმენდილ ცის ქვეშ მთვარიან ფამეში. სძინავს არარათის მთას. ფრუბლის თეთრი სუბუქი გამსჭვირვალე ქულები მის ზედა-პირზე გაბარდნილ-გაფანტული, კრძალვით, მოწიწებით ეხუმრებიან. სიალუმფო პირსაფარში მთვარის ნაზი სხივები ჯადოსნურ ძალით სრიალებენ, მძინარე მთას თავს, ქოხორს, სახეს ცეცხლის მარგალიტებივით ეფრქვევიან, ჭოტნიან, ამბორს უფოფენ, ეხუტებიან, ოცნების ტრემლებად ეფრქვევიან.

ნაზია ის, როგორც ბავშა ავ, ცუდ ტარფასში, რომ ცა კოპებ-შეკრული ლედამიწას ექადება: მაშინ ფრუბლები, ნაზი ფრუბლები პირველად მის მწვერვალზე იერიან თავს, გროვდებიან, არარათის მთას გულმკერდს, კალთებს უხურავენ, რომ ზეცით მომავალმა ბუნების სტიქიამ არ შეაკრთოს მისი სარკე გული.

მის ზედა პირზე ეინკის აკლდამაში, კალმოცემით, ნოეს კიდობანი მარხია. იმას ხომ ვერავინ ნახავს: იქ ამსვლელი არავინ არისო, როგორც მზეზე, მთვარეზე. და რომ ავიდეს ვინმე, ეინკის აკლდამაში თვალი მაინც ვერ ჩასწვდება, როგორც ოკეანეს უფსკრულს სიგრცეში თვალები ვერ ჩასწვდებიან...

ევგენი ფურცხვანიძე

შრომის სამეფო

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 19)

ოლიას მამის კოსანდილეს ოჯახური მეგობარეობა მეტათ შერყეული. იყო მიწა ადგილი არ გააჩნდა და მთელ დროს ის მემამულეთა ადგილებში ატარებდა მძიმე შრომაში; იღებდა იჯარით საყანე მიწებს და დღე-ღამ შეუსვენებლივ მუშაობდა. შრომობდა, არ ისვენებდა, მაგრამ მაინც ღარიბად ცხოვრობდა, ტანზე არ ეცვა, საჭმელი არ ჰქონდა, სანახევროდ მშიერი იყო.

მამამ კოსანდილე პატარა დატოვა. დედამ, ცოტა წამოიზარდა თუ არა, ადგილობრივ მღვდელს მიაბარა მოჯამაგირედ. პატარა კოსანდილემ მთელი ექვსი წელი მოჯამაგირეობაში გაატარა. ახალგაზდური სიჯანსაღე მღვდელ იოანესთან დაჰკარგა. იქ კ პირველად მანეთ ნახევარს აძლევენ თვეში და ბოლო წელს მისი ჯამაგირი ხუთ მანეთამე ავიდა, მარა რასაც ღებულობდა, დედას მიქონდა, რადგანც ქვრივად დარჩენილს სხვა არავითარი საშუალება არ ჰქონდა, რომ გადასახადები მოეშორებინა და ოჯახის მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებია.

კოსანდილე მოჯამაგირეობაში აიზარდა და ჯანმრთელობის მხრივ დაზიანებული შინ დაბრუნდა. დაბრუნებისას შეეცადა ოჯახის მოწყობას, სახლის აშენებას. ამის გამო დროებით მიატოვა სოფელი და სამუშაოდ რკინის გზის სადგურისკენ წავიდა.

— მეც აუცილებლათ უნდა შევიძინო მიწა, გავაკეთო ერთი თვალი ოდა, ცოტა უკეთესად უნდა მოვაწყო საქმე და შემდეგ ქალი უნდა მოვიყვანო.— ასე ფიქრობდა კოსანდილე და ამის განხორციელება მას ავალებდა სადმე ფული გშოვნა და ისიც სოფლიდან მიეშურება...

რკინის გზის სადგურში კოსანდილემ ორი წელი დარჩა. ხან ათ შაურს იღებდა, ხან მეტსაც ღღეში, მარა მის ლტოლვილებას თანდათან ბოლო ეღებოდა; ფული ვერ შეაგროვა.

პირიქით ჯაფისაგან უფრო მოტყდა და მესამე წელს ისევ სოფლად დაბრუნდა.

— რა ვქნა!.. როგორ მოვიქცე?.. როგორ შეიძლება გამოვიდე ამ სიღარიბიდან?.. —ხშირად ეკითხებოდა თავის თავს და გამოსავალი კი ვერ ენახა. ამავე დროს კოსანდილე ხედავდა მის გარშემო ზოგიერთები იუმჯობესებდენ ცხოვრებას: აკეთებდენ სახლებს და უფრო კარგად ეწყობოდენ. ხედავდა აგრედვე მასავით ღარიბი და უფრო ცუდ მდგომარეობაში მყოფი.

რკინის გზის სადგურიდან დაბრუნების მეორე წელს კოსანდილეს დედა გადაეცვალა. დარჩა მარტოთ ოჯახში, რომელიც შესდგებოდა ერთი ქოხისაგან, პატარა ნალიასაგან და სანახევროთ დარღვეულ ფაცხისაგან, ამას ემატებოდა ნახევარი ქცევა მიწა და ამით თავდებოდა მისი საკუთრება, ეს იყო ყველაფერი. კოსანდილეზე დიდი გავლენა იქონია დედის სიკვდილმა. მარტოდ დარჩენილმა დროებით ხელი აიღო მუშაობაზე და სულ დაღონებული დადიოდა. აღარ ზრუნავდა ოჯახის აღდგენაზე და ვერც სოფელს შორდებოდა...

დედის გარდაცვალების შემდეგ დიდმა დრომ გაიარა. კოსანდილემ ისევ მოიბრუნა გული, მუშაობას მოჰკიდა ხელი და მისმა ახლო ნათესავებმა რჩევა-დარიგება მისცეს ცოლის შერთვის შესახებ.

— ქალი მოიყვანე, მზითვ-ფულს აიღებ, აღებულ ფულით სახლს ააშენებ, მიწას იყიდი და შეძლებული გლეხი გახდებიო.

კოსანდილე პირველად წინააღმდეგი იყო ცოლის შერთვისა, მაგრამ ბოლოს თანდათან აღეძრა სურვილი და კიდეც შეუდგა საქმეს:

— შეიძლება უკეთესად მოვაწყო ცხოვრება!.. გამიმართლდეს იმედები, მზითვი შემეძინება, ფულს ავიღებ, მოყვრები მეყოლება.—ფიქრობდა კოსანდილე.

კოსანდილემ თავისი განზრახვა აასრულა, ერთ მახლობელ ახალგაზდა გლეხის ქალზე ჯვარი დაიწერა. ეს მოხდა ასე: ერთ საღამოს წაიყვანეს ქალის საჩვენებლად, ნიშანი წაიღო, ნახა უცნობი ქალი. ქალის მშობლებთან შეთანხმდენ მზითვზე, ფულე და ორი თვის შემდეგ ქალი სახლში წაიყვანა.

კოსანდილემ ქალის მოყვანის შემდეგ გული დაიდვა და შეუდგა უფრო მხნედ მუშაობას: თავისი პატარა ქოხი უკეთესად მოაწყო, ეზო შეღობა, იჯარით მიწა აიღო და თავისი შრომა ერთი ორად გაადიდა.

კოსანდილეს ცოლი მაკა ერთგული ახალგაზდა ქალი გამოდგა, ისიც ოჯახურ მუშაობაში ჩაება, შინაური ფრინველი გაიჩინა, ბოსტანი მოაწყო და ასე ორი ადამიანი თავგანწირულად ჩაებენ შრომის ფერხულში.

— კინალამ დავტოვე ჩემი სოფელი, ჩემო მაკა! — უთხრა ერთ დღეს კოსანდილემ თავის მეუღლეს.

— რისთვის ჩემო კარგო? — დაეკითხა ცოლი.

— იმისთვის რომ გული ამიცრუვდა. ღარიბი კაცი სასოწარკვეთილებაში ვიყავი და აღარ მქონდა იმედი, თუ კიდევ დავიწყებდი შრომას. ეხლა მადლობა ღმერთს, შეიძლება გამოტრიალდეს ჩვენი საქმე!..

— ნუ გეშინია, ღვთით ყველაფერს მოვესწროთ.

— ვნახოთ, რას გვეტყვის ჩვენი ილბალი.

— აი ჩვენი გიტოიე რომ გამდიდრდა, სულ მუყაითობამ ქნა და ჩვენც ასე ვიქნებით ადრე, ჩემო კოსანდილე!

— არა, მუყაითობიზა არ მომიკლია ხელი, მარა წელი ვერ გავმართე. გიტოიე კი სულ სხვანაირი კაცია.

— მეც ვატყობ ეშმაკია.

— ურიებთან დადის, ვაჭრობს და ამით მოაწყო საქმე, თორემ ჩემ ავით ტყავ-გამძვრალი იქნებოდა

— ღვთით ჩვენც კარგად ვიქნებოდით. ჩვენი სოფელი უხვი და მდიდარია...

მართლაც სოფელი მთიეთი ბუნებით მდიდარია. ის გაშენებულია მომაღლო გორაზე, ირგვლივ ტყე არტყია და ორი ვერსის მოშორებით კი მაღალი მთები დასცქერის. სოფლიდან დასავლეთით თვალ უწვდენი საყანე ველებია, რომელიც ეკუთვნის ადგილობრივ მემამულეთ. თვით კოსანდილე ტყის განაპირათ იდგა, მისი ეზო წყლიან-ჭაობიანი ადგილი იყო, მხოლოდ კარგად მოეშენებიათ, ხანგრძლივ შრომას ნაყოფი გამოეღო.

ბუნებით საუცხოვო სოფელი ერთი შე-

ხედვით გაგიტაცებდათ, მაგრამ როცა კარგად გაეცნობოდით, ქუჩების მაგიერ ტალახიან ჭრილებს ნახავდით, ეზოების მაგიერ—წყლიან მიდამოებს, სახლების ნაცვლად ქოხებს; ბოლმა მოგაწვებოდათ, როცა ნახავდით, რომ ბუნებით შემკულ მხარეში ყველაფერი სულ სხვა გვარათ მოწყობილიყო

სოფლის შუა გულში კი იყო უფრო კარგად მოწყობილი ს ხლები, მშვენიერი ბაღით მორთული სასახლე, დუქნები, ეკლესია, მაგრამ აქ შეძლებულნი ცხოვრობდენ.

— როდის მოვესწრები ასეთ ცხოვრებას? —შეეკითხებოდა ხოლმე კოსანდილე თავს, როცა ამ უბანში გაივლიდა.

(გაგრძელება იქნება)

ა. ჟუჟისპირელი

წვრილი ამბები

ლადო დათიაშვილის წლის თავის შესრულების გამო კვირას 7 მაისს, ქვაშუეთის ეკლესიაში პანაშვიდია დანიშნული, რასაც გაზ. „ხალხის თავისუფლება“ და ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“ ამხანაგთ, და თანამგრძნობთა აცნობებენ. წ რვა და წყება დილის 10 ს. ვსთხოვთ ამხანაგთ დაესწრ ნენ.

ავლაბრის თეატრ პალასში, ა. შერმ ზანოვის თაოსნობით მაისის 9-ას სცენ ს მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება „ყაჩაღი არსენა“ „ტიმოთეს ლეღვი“, დას სრულ დივერტისმენტი. დასაწყისი საღ. 8-ვის ნახევარ საათზე.

„ხალხის თავისუფლების“ 9-რე ნომერში: სხვათა შორის დაბეჭდილია ივ. გომართელის წერილი-ავტონომიის ანბანი სოფლის ხალხისთვის.

ამ გაზეთის მორიგი 10-თე ნომერი უკვე გამოვია და თითქმ ს მთელი ნომერი ლადო დარჩიაშვილს ეძღვნის.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირი

კვირას, აპრილის 30, ახალი კლუბის შენობაში გაიხსნა კავშირის დამფუძნებელი წევრების კრება. სხდომას დაესწრო სამოც კაცამდე. კრება გახსნა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარემ შალვა დადიანმა. მისალოცი სიტყვის შემდეგ კრებას სთხოვა, პრეზიდიუმი აერჩიათ მისივე წინადადებით საპატიო თავმჯდ. ერთხმ თ არჩეულ იქმნა დამსახურებული მსახიობი ვასილ აბაშიძე, თავმჯდომარეებად: ვალ. გუნია, კ. შათირიშვილი და ბ. ბეგლარიძე. მდივნებად: ივ. ბარველი და გ. ფროსნისპირელი. კრებას სიტყვებით მიმართეს ქართ. დრამ. საზოგ. გამგეობის სახელით ი. გედევანიშვილმა, „თეატრი და ცხოვრების“ და „ხალხის თავისუფლების“ რედაქციების სახელით იოსებ იმედაიშვილმა, თავის მხრივ დავ. კასრაძემა და ა. წუწუნავამ. შემდეგ კრება შეუდგა წესდების პროეკტის კითხვას მუხლობრივ გარჩევ-დამტკიცებას. სხდომებმა გასტანა 3 მაისის საღამომდე. პროექტი ადგილადგილ პარაგრაფების შესწორებით კრებამ დაამტკიცა. წესდების დამტკიცების შემდეგ კავშირმა ამოირჩია აღმასრულებელი ორგანოების თანამდებობის პირნი. კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნ კოსტ. ანდრონიკაშვილი. საბჭოს წევრებად: შალვა დადიანი (ერთხმად), ვალ. შალიკაშვილი, ტასო აბაშიძე, გ. იმხნელი, შ. შარაშიძე, ალ. იმედაშვილი; საპროფესიო სასამართლოს წევრებად; ნ. დავითაშვილის ასული, ბ. ბეგლარიძე, ვასილ აბაშიძე (ერთხმ დ), პ კორიშელი და გ. ფრნისპირელი. სარევიზიო კომისიის წევრებად: სოლ. ახვლედიანი, ან. ტურაშვილი და ალ. სანდალიძე.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიის (ავტონომისტთა) გაზეთ

„ხალხის თავისუფლება“-ზე

(წელიწადი პირველი. კვირაში ორჯერ)

ივანე გომართლის მახლობელი მუდმივი მონაწილეობით, მუშა და ჯარისკაც მწერალთა თანამშრომლობით და **იოსებ იმედაშვილის** რედაქტორობით.

გაზეთის მიზანია: მუშათა კლასის სამსახური, ეროვნული საკითხის მუშური თვალსაზრისით გაშუქება, ავტონომისტთა გაერთიანება, და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულიარიზაცია ხალხში.

გაზეთის ფასი: წლის ბოლომდე 5 მან., თითო ნომერი-5 კ. ხელის მოწერა მიიღება: რედაქციის საკუთარ ბინაზე (ბაზრის ქ. № 20 ნ. არჯევანიძის სახლი, ალექსანდრეს ბაღის თავში, ხაზინის ზევით) და „სორაპანის“ სტამბის კანტორაში, ფოსტით: Тифлисъ ред. „Халхис Тависуфлэба“—Іос. Имедашвили

რედაკტორ გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენ. **იოსებ იმედაშვილის** მიერ, მეორედ შევსებულ-შესწორებული. მოვარაყებული ყდით, ხელის მოწერით ღირს 3 მან. გაწერა კიდევ შეიძლება: Тифлисъ. ред. „Театри да Цховреба“—Іос. Имедашвили

„თეატრი და ცხოვრება“

ორი პრემიით წლიურად ღირს 8 მ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „სორაპანის“ სტამბის კანტორაში მადათოვის კუნძ № 1, ფოსტით: Тифлис, ред. „Театри да Цховреба“— Іос. Имедашвили.

ავლაბრის თეატრი პალასი

სამშაბათს 9 მაისს 1917 წ. **ბ-ნ ა. შერმაზანოვის** თაოსნობით

ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ **ქ. ქ. რჩეულოვის, ს. ანკარასი და გ გელიკურაშვილი მონაწილეობით**

წარმოდგენილი იქნება

I

ყარაღი არსენა

დრამა 3 მოქ. ა. ყაზბეგისა

II

ტიმოთეს ლეღვი

ვოდ. 1 მოქ. ი. გრიშაშვილისა

III

დივერტისმენტი

წაკითხული იქნება ახალი ლექსები

დასაწყისი საღამოს 8 ½ ს.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

ანტრაქტებში დაუკრამს სამხედრო მუსიკა

რეჟისორი **ა. შერმაზანოვი**

გამგე **გ. ზუბიაშვილი.**

დაწვრილებით აფიშებში.

ახალი კლუბი

1 კვირის პროგრამა აპრილის 23 30

კვირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.

ორშაბათი—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

სამშაბათი — საოჯახო საღამო

ოთხშაბ. —სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

ხუთშაბ.—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე

შაბ.— საოჯახო საღამო

კვირა—რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8½ საათ. **შესას.** ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკაც. 1 მ

ქართველთა მილიცია რუსების შემოსვლის დროს.



— ვااა! მითამ ომი მალე გათავდეს?!